სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-31

ქ. თბილისი

23.01.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" საფუძველზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 12 იანვრის №10 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. რეგისტრაციის ვადა, სტუდენტებისათვის რომლებმაც მოიპოვეს მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის, განისაზღვროს 2015 წლის 9 თებერვლიდან 11 თებერვლის ჩათვლით;
2. რეგისტრაციისთვის სტუდენტებმა განცხადებით უნდა მიმართონ უნივერსიტეტის რექტორს (ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, განცხადება ივსება ადგილზე. მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, უნივერსიტეტის კანცელარია). განცხადებაში მითითებული უნდა იყოს იმ ფაკულტეტის/სკოლის დასახელება, რომელზეც სტუდენტი დარეგისტრირებულია ელექტრონული პორტალის მონაცემების მიხედვით და იმ საბაკალავრო ან სადოქტორო პროგრამისა და მიმართულების სახელწოდება, რომელზეც სურს მობილობის წესით ჩარიცხვა. განცხადებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა)ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან;
ბ)სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);
გ)ცნობა გაცემული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, 2015 წლის 1 თებერვლის შემდეგ (სტუდენტის სტატუსის, გრანტის, სასწავლო პროგრამის დასახელების, სწავლის საფასურის ოდენობისა და მის მიმართ გამოცემული სამართლებრივი აქტების მითითებით);
დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);
ე)პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ვ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ზ)2 ცალი ფოტოსურათი 3X4 და ელ. ვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD)

3. სტუდენტებმა, რომელთაც მოიპოვეს მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, გარდა ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციისა უნდა წარმოადგინონ:
ა) სადოქტორო კვლევის განაცხადი;
ბ) ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო ვალიდური სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, FCE) ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი (დიპლომის ვალიდობა უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს, უზრუნველყონ 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის კრედიტების აღიარების დოკუმენტების მომზადება მათ მიერ გავლილი სასწავლო კურსებისა და სასურველი საბაკალავრო ან სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით.
5. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს, უზრუნველყონ კრედიტების აღიარების დოკუმენტების გაცნობა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტებისათვის და აღნიშნული სტუდენტების მიერ ამ დოკუმენტების ხელმოწერით დადასტურება;
6. სტუდენტებისათვის, რომლებიც მოიპოვებენ მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას და ვერ წარმოადგენენ ამ ბრძანების მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციას, წერილობითი გამოცდა ინგლისურ ენაში ჩატარდეს 2015 წლის 12 თებერვალს 09:00 საათზე (მის: ჭავჭავაძის გამზირი 32, აუდიტორია A406). ინგლისური ენის გამოცდის მინიმალური ზღვარია 65 ქულა.
7. სტუდენტებისათვის, რომლებიც მოიპოვებენ მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გასაუბრება ჩატარდეს 2015 წლის 12 თებერვალს, 13:00 საათზე (მის: ჭავჭავაძის გამზირი 32, აუდიტორია A101);
8. ინგლისური ენის გამოცდასა და გასაუბრების შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღების თარიღად განისაზღვროს 13 თებერვალი, 10:00 საათიდან 13:00 საათამდე. განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის კანცელარიაში (მის: ჩოლოყაშვილის 3/5);
9. სააპელაციო კომისიების წინაშე გასაუბრება ჩატარდეს 2015 წლის 13 თებერვალს 15:00 საათზე (მის: ჭავჭავაძის გამზირი 32, აუდიტორია A104);
10. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს, 2015 წლის 16 თებერვლის ჩათვლით გააფორმონ ხელშეკრულებები 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირებთან, რომლებიც მოიპოვებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლებას და თანხმობას განაცხადებენ კრედიტების აღიარების დოკუმენტებში მითითებულ პირობებზე;
11. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს, 2015 წლის 17 თებერვალს მიაწოდონ უნივერსიტეტის რექტორს 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთა სია, კრედიტების აღიარების დოკუმენტებთან ერთად, რომლებმაც გააფორმეს ხელშეკრულებები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მიზნით;
12. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არაუგვიანეს 18 თებერვლისა;

13. დაევალოთ უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს მობილობის წესით ჩარიცხულ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტების რეესტრში ასახვა ბრძანების გამოცემიდან 1 სამუშაო დღის ვადაში;

14. დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ფაკულტეტების/სკოლების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზაში ასახული მონაცემების გააქტიურება ფაკულტეტების/სკოლების მიერ მონაცემების რეესტრში ასახვიდან 1 სამუშაო დღის ვადაში;

15. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს მობილობის წესით ჩარიცხულ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტების ცენტრში წარდგენა ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

16. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს უზრუნველყონ მობილობის წესით ჩარიცხულ პირთა კრედიტების აღიარების დოკუმენტების ასახვა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში";

17. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს უზრუნველყონ მობილობის წესით ჩარიცხულ პირთა კრედიტების აღიარების დოკუმენტების მიწოდება არგუსის კოორდინატორის - ირინა ბაზღაძისათვის, ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

18. ამ ბრძანების შესრულებაზე ფაკულტეტების/სკოლების ნაწილში პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ შესაბამისი ფაკულტეტების/სკოლების დეკანები;

19. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება;

20. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

21. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს, სამდივნოს და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე- ირინა ბაზღაძეს.

რექტორი

გიგა ზედანია